# თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

15 სექტემბერი. გამოიცემა № 4 კვირაობით 1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანავე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.

ცალკე ნომერი „თეატრი“სა ღირს სამი (3) შაური.

ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრიქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლიშვილთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Театръ“.

კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

## ჩემი ბაიათი

ვაღარა გამწარებულსა,
სიცოცხლე მომბეზრებია:
რაც რომ მიგრძვნია, გულსა
მწყვეტს,
მხაშმავს, რაც მიაზრებია!

ეს შურიანი ქვეყანა
ხარბი და უმადურია:
პირველათ იმას გასწირავს,
ვინც გულით-ნამსახურია!

მოჰკლავს და შემდეგ სიკვდილის
იგლოვს მას თვალთ-მაქცურად;
დევნილს დამარხავს პატივით
და ღარიბს დიდ-კაცურად.

მაგრამ მკვდარს რაო? ეს წესი
მაიმუნობა მგონია:
ცოცხლების თვალის სეირი,
მათივე მოსაწონია!

სამარის კარზედ შემდგარსა
გულში ეს მრჩება წუხადა:
კაი თუ სიკვდილის შემდეგ
მეც გავხდე მაიმუნადა.

აკაკი.



შექსპირი

(დრამატიული მწერალი).

---

## თფილისიდამ თეირანს

(წერილი მაჰმადიანელთ ქართველთან)

შენ, დაუვიწყარო მეგობარო ჰამზა, დიდ-ყურადღებას აღვენებ ოდესმე შენ წინაპარ-თა სამშობლოს გურჯისტანს. როცა აქეთ გამოვემგზავ-რე, შენი თხოვნა ის იყო, რომ ხანდისხან წერილი მამეწერა ხოლმე აქაურს მხარეზე, მის აწმყო ავლა-დიდებაზე. კარგა ხანია მე გურჯისტანის დედა ქალაქში ვსცხოვრობ და ესლა კა შემიძლიან შენი თხოვნის შეს-რულო.

შენც კარგად იცი, რომ როგორც წინად, ისრე ესლაც თბილისი აქაური დედა-ქალაქია და აქ უნდა მოიძებნოს ყოველ გვარი საუნჯე აქაური ხალხისა, ამ ხალხის გონებითი და ზნეობითი ძალა. მეც ასე მეგონა და სწორედ ასეც არის. აქ, ამ დედა-ქალაქში თავი მოუყრია ყველას, ქართველობის უკეთესს ნაწილს. მოსვლის უმალ, მე ამ დასს დავუახლოვდი, შევისწავლე მისი ხასიათი, მიმართულება, სულის და გულის დარდები, ერთის სიტყვით ყოველის ფერი, რითაც კი სულდგმულობს ეს პატარა წრე და გატესილი რომ გითხრა, დიდად შევსწუხდი... ღმერთო ჩემო, რას მოველოდი და რა ვნახე?! ასე სულით და ხორცით დაცემული და დავრდომილი მოდ-აწეის დასი მე ვერ წარმომედგინა. მე მეგონა რომ აქ ვიპოვიდი ვისმე... მაგრამ რანაირად მოვსტყუვდი.

ეს რაღა არის?—მკითხამ შენ. აი რა არის, ჩემო მეგობარო.

ჯერ ისევ დაუვიწყარ შამსორაში ერთი განათლებული ქართველი, პეტერბურღს და პარიჟში აღზრდილი, მარწმუნებდა, რომ ესლა ქართველები ევროპიულ განათლების გზას დაადგნენო, მათ ყველა ევროპიული შემოიღესო: სკოლა, ბანკი, გაზეთ-ჟურნალები, დაარსეს განათლების „საზოგადოება" და სხ. სხ. მეც მეგონა რომ აქ, დედა-ქალაქში ევროპიულს ვნახამდი, მაგრამ შენი მტერი იყოს, რომ მე მწარედ მოვსტყუვდი... მართალია, აქ ბევრს ევროპიულს შეხვდები, მაგრამ ამ ევროპიულს სული და ხასიათი კი აზიური აქვს და მოწინავეს ანუ მოღვაწეს მტკიცედ დაუცვავს ყოველივე ის, რაც უძლის განათლების შეთვისებას,—სიზანტე, აპატია, უზომო მედიდურობა და სხ. ამისთანები.

ავიღოთ თუნდა მწერლობა, რომლითაც თავი მოაქვთ აქაურს ქართველებს. შედარებით აქ იმოდენა წიგნები იბეჭდება, რომ თეირანში საზმრათაც ვერა ვნახავდით ამდენს. გაზეთები და ჟურნალებიც საკმაოდ არიან. მაგრამ რაო?—ასეთი სისუსტე და გონებითი მცოხარება, როგორიც აქაურს მწერლობას ეტყობა, მე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. წიგნების ბეჭდვას ბაზრული ხასიათი მიუღია და ეს წმინდა სქლობა და სურმის ყიდვა აქ ერთნაირად მიაჩნიათ. აი ერთი მრავალთაგანი მაგალითიც: ამის წინად ვიღაცა ვინტო აბრაგუნე მოჰკლეს და სამმა აქაურმა პოეტმა ლექსით შეამკეს ეს ღირსეული გვამი!!! სამმა პოეტმა... გესმის? აქ, ჩემო მეგობარო, ყველას კალამი აუღია ხელში და ვინც ჰსურს, მას აქებს და ადიდებს. მთელი აქაური მწერლობა ქება-დიდებას არ გასცილებია, სულ ერთი ერთმანეთს აქებენ-ადიდებენ და თავიანთ თავის დიდება ხომ აქ საყოველთაო ავად-მყოფობად გადაქცეულა. ლექსით შესხმას ვინღა ჩივის... შენ გულში გეცინება, მაგრამ ნამდვილი კია. სოლომონ ბრძენი რომ ცოცხალი ყოფილიყო და აქ ეცხოვრა, იმასაც კი გაიტაცებდა მწერლობის ტალღა და იქნება მეორე უკვდავი „წიგნები" შეეთხზა... გაუგონიათ ამ დალოცვილებს, რომ კაცის მოღვაწეობა უნდა დაფასდესო და ესენიც უსწორ-მასწორად ყველას ლექსით ამკობენ და მეგლს უგებენ.

მაგრამ არ გეგონოს, მეგობარო ჭამზა, ვითომ ყველგან ასე იყოს. ერთი ერთმანეთის ლანძღვა-თრევასაც საკმაო ადგილი მოუხვეჭია, შურს და შუღლს აქ ღრმად ფესვები გაუდგამს. სადღაც გაუგონიათ, რომ კაცის მოღვაწეობის განხილვა საჭიროაო და ეს განხილვა, ანუ, როგორც აქ ეძახიან, კრიტიკა ბაზრულ მრავხად გადუქცევიათ. რაც აქ ჟურნალ-გაზეთებში ერთი ერთმანეთს ათრევენ და ჰკილვენ, ისეთი არა გაგონილა რა. ყველა გაზეთს-ჟურნალს თითო პირი მაინცა ჰყავს, რომლის მოვალეობაა გალანძღოს მოწინააღმდეგე, როცა უბრძანებენ...

გაზეთ-ჟურნალებზე წარმოვსთქვი სიტყვა. აქაური გაზეთ-ჟურნალები მართლაც რომ საკვირველებაა! ყოველ-თვიური ჟურნალი ყოველ-წლიურ ჟურნალად გადაქცეულა და ყოველ თვის მაგიერ ყოველ წელს ერთხელ გამოდის. თვე წლიწადად გაუხდიათ და წლიწადი თვედ! შენ, ჩემო ჭამზა, ამას არ დაიჯერებ, რადგანაც იცი, რომ მანდაური «შემსიც» კი თავ-თავის დროზედ გამოდის, მაგრამ აქაურ რედაქციებში სხვა ქრონოლოგია აქვთ მიღებული და კალენდარიც აქ სხვა ნაირია, ვიდრე მანდ—თეირანში. აქაური მოწინავე გაზეთიც „შემსი" სხვა კალენდარს მისდევს, თუმცა ნამდვილი კი რედაქციის კედელზე ჰკიდია. ასეთს დიდ დღესასწაულს, როგორც მაგ., ბაირამობაა, როდი სჯერდება. მაშინაც კი დღესასწაულობს, როცა მთელი ხალხი მუშაობს... ნეტავი შენის თვალით გენახა!... სასაცილო ამბავი დაემართა ამ მორწმუნე «შემსს». საქმე ის არის, რომ ამის წინად ეჭვი შეიტანეს ვითომ ეს დალოცვილი და კურთხეული მქადაგებელი იმას არა ჰქადაგებდეს, რაც საჭიროა და სასარგებლო ხალხისათვის. მართალი გითხრა, მე ვერა გამიგია ამისი და მაინც იმედს არა ვკარგავ, იმიტომ რომ «შემსი» ფრიად დამსახურებულია და სამსახურში ჰქონდარაც კი გამოურია (ასეთს ავადმყოფობას, როგორიც ბუასილია, ვიღა დაჰსდევს!).

ამ ჟამად, მეგობარო ჭამზა, მაპატიე, რომ დაწვრილებით არას გწერ აქაურობაზედ. შემდეგისათვის იყოს. კიდევ ბევრი რამე მაქვს სათქმელი, ბევრი, ძრიელ ბევრი, მაგრამ ერთი რამე კი ესლავე უნდა მოგწერო, გული არ მითმენს.

დალოცვილ თბილისელ გურჯებს, როგორც ვსთქვი, დაუწესებიათ ბანკი, სკოლა და «საზოგადოება» განათლების

გასავრცელებლად. აგერ ამოდენი ხანია აქა ვსცხოვრობ და არ ვიცი—რა მდგომარეობაში არიან ეს დაწესებულებანი. მე კიდევ არა ფერი, თითონ გურჯებმაც არა იციან რა. რატომ? იკითხამ შენ.—იმიტომ, ჩემო ჭამშა, რომ აქაური მოღვაწენი სხვა ჯურისანი არიან. ბანკში, სკოლაში, „საზოგადოებაშიაც"—ესენი გაჩხირულან და ყურნალ-გაზეთებიც ხომ ამათ ხელშია. ნამდვილს არას დასწერენ და თუნდაც რომ სურვილი ჰქონდეთ, როგორ შეიძლება კაცი თავის-თავის მსაჯული იყოს?! სხვანი კი ხელ-ფეხ შეკრულნი სხედან და ერთი ერთმანეთს ეკითხებიან: რა იცი ამაზედ და იმაზედაო?—ის, რაც შენაო. მოდი და ნუ გაგეცინება! ერთის მეტს საზოგადოებას ყველაფერი თითონ უგდია ხელში და რაც უნდა იმას შვრება! ევროპაში ამას ოლიგარხიას ეძახიან; მანდ, სპარსეთში—სატრაპობას, ხანობას. აქ რაც გინდა დაარქვი,—თუ გინდა ოლიგარხია, თუნდა-სატრაპობა,—ორივე ერთი იქნება. მშვიდობით, ჩემო ჭამშა.

შენი მოლა ბაშინ პალა-უხან ოღლი.

თბილისი
9 ენკენისთვეს.

---

# ლეგენდა

(შემდეგი *).

## V.

აღურიცხველი მზეთ უნახავსა
შუამავლები დაუდიოდა,
ვინც გამოსცნობდა მის გამოცანას
იგი მეუღლეთ მას გაჰყვებოდა.
ბევრი იშრომეს, ითავსელ-ცემეს
იმ საიდუმლოს გამოცნობაზე,
მაგრამ ვერარა ვერ გაიგეს რა
შესაბამისი მის თაობაზე.
მეფისა შვილნი და მთავრებისა
ათასობითა მოისწრაფოდენ.
სთხოვდენ მას ხელსა... ხოლო უარით
გულ-დაწყვეტილნი უკუვიდოდენ.
ბევრი მის დარდით, მის სიყვარულით
ავად გამხდარი ლოგინს ჩავარდა;
ბევრმაც ვერ უძლო გულის ჭრილობას
და დარდისაგან სული განვარდა.
ჰკითხეს მკითხავებს და მეცნიერებს.
ვარსკვლავთ-მრიცხველთაც მოისმარებდენ,
ხოლო გარკვევით იმ გამოცანის
ჭაზრს დაფარულსა ვერ შეიგნებდენ.
ესრე წელი-წელს რიგზედ მისდევდა;
დრო მიდიოდა დაუბრუნებლად.
მზეთ უნახავი მშვენიერ კოშკში
სცხოვრებდა წყნარად და უდარდელად.

## VI.

ღამეა. ქალი თვის ოთახში ზის;
გარდაჰყოლია მშვიდ ოცნებებსა.
ცხადად სჩანს, რომა ჯერეთ ეს ტურფა
არ შეუპყრიათ უმგვან ვნებებსა.
მის მაღალ შუბლზე არ გაუხაზავს
ჯერეთ ზოლები დარდიანობას;
მთლად მისი სახე და ნაზი ქცევა
ცხადად გვიმტკიცებს მის ქალწულობას.
იმის სენაკსა განანათლებდა
უცხო ლამპარი მკერ-ლარებული
და ამა ლამპრის მკრთალი ნათელი
ატაკზედა იყო მორწყული,
ან კედლებზედა მჭირფასსა სახებს,
ჭრელ ნაქსოვებსა ესვენებოდა,
ან იქიდამა უკუვარდნილი
თვითონ პატრონსა დაადნებოდა.
ვინ არ შეუცვლის იმ სხივს თვის ბედსა,
რომ იმის ნაცვლად ქალს ემსახუროს,
ოღონდ ხანდისხან მის ბროლის მკერდზე —
ამბორით სული დაიტკბანუროს?
ვინ არ შესწირავს მას თვით სამოთხეს
მთელი სიცოცხლის სიტკბოებასა?
ვინ დაგვაჯერებს, რომ ამ გვარს სული
ელოდებოდეს ნეტარებასა?..

## VII.

აქმლუცსა ჯდომა უკვე მოსწყინდა:
ატაკს სტკეპნის ნაზის ფეხებით.
როგორც რომ მტრედი ეზრე დაგოგავს,
გრძნობა დამტკბარი სიამოვნებით.
სწორედ ამ დროსა, ამ განცხრომაში
ვიღაცა კარზე ერაკუნება.
ქალის ოცნებით გატაცებულის
გული ატოკდა... წამით შეკრთება.
«ვინ უნდა იყოს? თუ არ ჭაბუკი
«ჩემის სულისა კვლავად მძებნელი?—
«ვერ გამოიცნობს. გამოცანასა,
„სჯობს, რომ დაბრუნდეს ისევ სულელი;
«თორემ მე ვიცი, როგორცა სხვებსა
„და დაარჩება იმასაც სასა;

*) იხილე „თეატრი" № 2.

«მაგრამ რას ვამბობ, რა ფიქრებია,
«ალბათ მეწვია ვიღაცა გლახა».
ესრე მის ტვინში ჯერ განურყვნელში
ჭაზრები იყვენ მიმოვრეული.
თავს მოერევა და თამამათა
კარებს გააღებს დამშვიდებული.
დიაღ! გლახაა. ქალს არ ატყუებს
შორს გამჭვრეტელი ჭაზრი, გონება.
არ უკადრისობს, გლახას პატიჟებს,
კმაყოფილია — არ ეზიზღება.

VIII.

—გთხოვ შემობრძანდე ჩემი ჭერის ქვეშ;
კეთილი იყოს შენი სტუმრობა.
ბრძანე ვინა სარ, ან რას თხოულობ,
ან რით გეწვია უბედურობა.
ჯერეთ დაბრძანდი და მოისვენე,
მერმე სთქვი რა ერს ეკუთვნებოდი?
რა მხრეთელი სარ, ბედს რად უჩივი,
ანუ რა ღმერთსა ევედრებოდი?
—რად გინდა ჩემი შენ ვინაობა?
მე ვარ ღარიბი, ვარ მათხოვარა;
დავიარები კიდის კიდემდე
უთვისტომოთა, ღმერთის ამარა.
ესრე უმიზნოდ ქვეყნად ვეთრევი.
აქ მოველ ბედის გამოსაცდელად;
უღმრთო კაცი ვარ. სული მივეცი
ეშმაკს უკუნით დასათვლობელად!
სთქვი გამოცანა, აგებ ჩემს ბედსა
არ მოვსძულდი და ვებრალებოდე!..
—შენი ნებაა. მაგრამ რას ამბობ?
ნეტავ უბრალოდ არ ისჯებოდე:
«სდგას ტაძარი და ღვთაება
„იმ ტაძრის საღმრთოს თხოულობს,
„და ეს კერპი თაყვანისმცემთ
«ალურიცხველად ჭპოულობს.

ალისუბნელი.

(შემდეგი იქნება).

## ნაწყვეტ-ნაწყვეტი

დადგა შემოდგომა. ზრილმა დედამიწის მკერდზე ნაიარდი იწყო, მწვანე ველს ფერი ეცვალა, მცენარეებმა ავათმყოფივით უძლური თავები ჩაჰკიდეს და მათმა სიცოცხლის ძარღვებმა შესწყვიტეს ფეთქა.

შემოდგომა ერთსა და იმავე დროს სამხიარულოც არის და სამწუხაროც. სამხიარულოა იმათია, რომ კეკლუცი სანახავია, უხვი, მდიდარი და პურ-მარილიანია; მაგრამ მის სიმდიდრესა და სიკეკლუცეს რაღაც მწუხარება და სევდიანობა თან მოსდევს; გული გეუბნება, რომ ეს სიმდიდრე, რომლითაც ახლა ბუნება ასე უხვად არის დატვირთული, ჩქარა შეიმუსრებაო, ფრინველები წავლიენ, მცენარეები დასჭკნება, ფოთლები ჩამოსცვივიან, საქონელი საძოვარზე ველარ გავა, ტყე და ველი გატიტვლდება და შემოდგომის ქარიშხალი უფრო მკაცრად შეჰქნისო ღმუილს, ქვეყანა ჰმუნვარებას მიეცემაო.



შექსპირის საფლავი

ხეზე ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

მაგრამ რამდენადაც მხიარულია შემოდგომა სოფლებში, იმდენად მწუხარეა იგი ქალაქებში და მეტადრე Თფილისში. მუდამ გატიტვლებული ხრიოკიანი კორდები, რომელიც მას გარშემო არტყია, ახლა უფრო დაღონებულად გამოსცქერიან ქალაქს; მათზედ თვალი ველარ შეამჩნევს სიმწვანეს... მოელიან ზამთრის მწარე სუსხს. Იქ გაცოფებულად დაჰკივის ქარიშხალი და მისგან გამტვერიანებულ ჰაერში, ტიტველი გორების წვერზედ, მედიდურად დაფრიალობენ მტაცებელი ფრინველები: ორბი, არწივი და სხ.

ქალაქში კი მოძრაობაა, ხალხი ჭიანჭველასავით ფუსფუსებს და საზამთროთ ემზადება. რა რჯულისა და წოდების კაცს არ შეხვდები ამ დროს აქ! აგერ მღვდელს მკლავში ხელი ჩაუვლია პატარა შვილისათვის და სასულიერო სასწავლებლისაკენ მიეშურება, იქ მასწავლებლის წინ მუხლი მოუდრეკია შავებში გახვეულს მოხუც დედას და ევედრება მისი შვილის სკოლაში მიღებას, აქ ჰხედავ მტირალე ყმაწვილს, რომელსაც

„ეგზამენა" კარგათ დაუჭერია, მაგრამ «უვაკანციობის» გამო არ მიუღიათ, აგერ მისი პატრონი ქვითინებს და სხ. და სხ.

უცქერი ამ საცოდაობას, უცქერი ბევრს ამაზედ უარესსაც და გული გილონდება. გინდა მოშორდე ამ ალაგს და გაემგზავრო შორს სადმე, საოცნებო მხრისაკენ. აიღულებ გულს, შემოიკრებ გონებას და ფიქრებით მიჰფრინავ შორს! მიჰფრინავ ჩვენი ქვეყნის იმ ერთი კუთხისაკენ, რომელიც ბუნებას დაუწესებია მშვენიერების გამომსახველად, სინაზისა და სილამაზის იდეალად. იქ გული გაგებადრება, გონება შეინავარდებს, სისხლი განცხოველებულად დუღილს შეჰქნის, ოცნება ფრთას გაშლის, გრძნობანი აიგძნებიან და წამიერად მაინც იგრძნობ ქვეყნიურ სიტკბოებას. თვალ წინ გეხატება ზურმუხტის ფერად გაშლილი მინდვრები და მათზედ-ქალწულივით ნაზად მორთული კორდები. ადიხარ მაღლა, მაღლა და თან და თან უახლოვდები მწვანე ხავერდით შემოსილ საოცნებო მთის მწვერვალს... ეს არის გომბორი! სდგიხარ მის წვეროზედ; წინ გეშლება ორი მხარე, ორი ველი: გარეშე და შიგნი კახეთი. იქ, აღმოსავლეთისაკენ, ჯგუფ-ჯგუფად ამართულ მთებს მძლევველი მკერდით აუპიათ ჰაერი და ზეცას წვერით მიბჯენას უპირებენ. მათ კალთოებზედ მარგალიტებივით ცვივიან მათი მკერდიდამვე აღმონაჩქეფი წყაროების ზვირთები. შორს, ქვემოთ, ხელის გულივით გაშლილი ალაზნის ველი თითქოს ზღვათ გადაქცეულაო. მის მკერდზედ სქელი ღრუბლის გუნდები იხვევიან და ნებივრობენ, როგორც მღელვარე ოკეანეს ტალღები. ბურუსში თეთრად გამოსჭვირის ბუმბერაზი ალავერდი; მისი გულბანდი კავკასიონის მწვერვალებს გასწორებია. იქ, მის ქვემოთ, ალაზანი მორცხვულად მიიპარება მიწაში, ზემოთ, მარჯვნივ, შენი გონების თვალი შეამჩნევს პატარა კორდს, მაზედ მეფე ირაკლის გალავანს, იქ გაშენებულია ნაზი წალკოტი თელავი, მას ზემოთ...

ჰო თელავზედ გამახსენდა:

ამას წინათ ორი ჩემი ნაცნობი თელავის პატარა სასეირნო ბაღში ერთმანეთს შეხვდნენ. ნეტავი საიდამ უნდა წარმომდგარიყოს სახელი „თელავიო", ჰკითხა პირველმა.

საიდამ და ორი სომხური სიტყვების „თე ლავ"-ისგანაო—უპასუხა მეორემ.

სტყუვიო — უთხრა პირველმავე—აგრე კი არა, აქ ძველად თელ-ნარის ტყე ყოფილა, ის გაუკაფავეთ და ნატყეურისათვის თელავი დაურქმევიათო». არ დაეთანხმა მეორე და გამართეს ერთი დავი-დარაბა. ბოლოს დანაძლევდნენ: ვინც წააგოს ჭანდარ ქვეშ სადილი გამართოსო. ამ დროს მათ მახლობლად გამოვიარე, ნაცნობები მომცვივდნენ და სადაო საგნის ახსნა მთხოვეს. რაღაც ბედზედ რამოდენიმე დღის წინეთ ეს საგანი ერთმა მოხუცებულმა ამიხსნა და თამამად ვუთხარი ნაცნობებს: თქვენ ორივე სცდებით; „თელავი" წარმოსდგა ორის შეერთებულის ქართულის სიტყვებიდამა-თქო: „მთელი" და „ჰავა": პირველად «მთელ-ჰავიანს" უძახოდნენ და შემდეგ «თელავად" გადაუცვლიათ-მეთქი. ნაცნობები დამეთანხმნენ და გადასწყვიტეს მეორე დღისათვის სანახევრო ფასით სადილი გაემართათ ჭანდრის ქვეშ. მკითხეს, ვის ისურვებ რომ მოგიწვიოთ შესაქცევადო? მე უპასუხე:

მომიწვიეთ წვეროსანი,
ნუზარი და კიკოლიკი,
ბასილ ზეგი და ვანია,
მცბიერების კუკ-მაჭიკი,
და ის თქვენი კუდურ-ხანუმ,
ხხოს შხამიანი სვლიკი-მეთქი.

მეორე დღეს ხსენებული პირები ჭანდარ ქვეშ ვისხედით და კახურს შევექცეოდით. კუდურ-ხანუმი გვაკლდა, არ გვეწვია. შუა სმაში რომ შევედით, ცოტა მივსდუმდით; ამბობდნენ: ანგელოზმა ჩამოიარაო, მაგრამ თქვენს მტერს ამისთანა ანგელოზი! უეცრათ შორიდამ თარის ხმა შემოგვესმა, მოკრიალე სიმებს ვილაცა ასე დამღერდა:

ამიდუღდი ბრაზით გულო,
იბანავე შხამში ენა,
რომ შევიძლო გესლიანად
ბოროტების გულში კბენა.

და შენც, თარო, სამარადოდ
ამ ჩემს მკერდში ცეცხლი ანთე,
კეთილს წყლული გაუკურნე,
ბოროტს გული დაუშანთე და სხ.

ამ ხმის მსმენელებს ნაცრის ფერი გადაეღვათ; პირში ლუკმა შეაშეშდათ საწყალ მოქეიფეებს, არ იცოდნენ რა ექნათ. პირველად წვეროსანი წამოხტა: „ვუშველოთ თავსაო", დაიძახა და შინისაკენ მოჰკურცხლა, მაგრამ გვიანღა იყო. მეთარემ შეამჩნია, გამოუდგა, მოეწია და სახლის კარებამდი ამ სიმღერით მიჰყვებოდა წვეროსანს:

ვინ არ იცნობს ამ იუდას,
ბოროტების გოდორ-გუდას,
სულით მდაბალს, ენით მცბიერს,
შხამიანსა და გულ-მრუდას!

ქრისტეს ჯვარის ხელში მჭერი,
სჯულისავე არის მტერი,

მაგრამ ჭოვარავს თმა ჭაღარა
და თხასავით გძელი წვერი.

აქვს ნაცარცვი მანათები
და შეისხა მისგან ფრთები,
ჯიბეებშიც ბლომათ უძევს
საბეზღარი ბარათები.

ისე სწრის და ისე დიდობს,
რომ თვით ღმერთსაც არ დაინდობს,
ქვეშემძრომობს, როგორც გველი,
ძმას უგბენს და დას არ ინდობს.

ხშირად უშვებს გულიდამ შხამს
და სხვის წმინდა გზაზე ასხამს,
და ისარებს, როცა თავის
შავი საქმის ნაყოფს ნახამს.

ნუ ენდობით ამ იუდას,
ბოროტების გოდორ-გუდას,
სულით მდაბალს, ენით მცბიერს,
შხამიანსა და გულ-ცუდას.

შეეგონა, მეთარე იმ ერთს მსხვერპლს იკმარებს და ჩვენ თავს დაგვანებებსო; ეს ზარალი არაფრად შევიმჩნიეთ და ისევ სმას შევუდექით, მაგრამ ხელ-ახლა გვეწვია უბედურება: ჩვენსკენ გამობრუნებულმა მეთარემ ისევ დასძახა თარზედ:

აქ ერთი ვინმე სტიროდა:
«თვით წავისდინე საქმეო,
ბატონობასთან უფლობაც
კი დავიჩემე აქ მეო.

მაგრამ შემიტყვეს და მკაცრად
მათრახი გადმიჭირესო,
ბატონობაც კი წამართვეს,
ამიგდეს, ამისირესო.

ბრძანებლობისა ჩვეული,
გავსწყერი, ავსტი-დავსტიო,
დავჭკარგე ძველი სასელი
და ზარაფხანის ტასტიო».

ამ ხმამ სრულიად გააგიჟა მანია მცბიერების კუჭმაჭიკი. მეთარეს მოახლოვებასთანავე ყველანი გაქცევას აპირებდენ, მაგრამ ის გვამხნევებდა: საით მიდიხართ, თქვე ლაჩრებო, როგორ უნდა შეგვაშინოს ამდენი ხალხი ერთმა კაცმაო? დაჰკივლა მანიელამ, დაიმკლავა და შეხვდა მეთარეს: აბა აქეთ მოიწიე, შე გესლიანო, შენა! ვინა გგონივარ მე შენ? მთელი ქვეყანა ჩემი მაქებარი და შემწე არისო. როგორა ჰბედავ, ჩემზედ ხმის ამოღებასაო!—უყვიროდა მომღერალს, მაგრამ მეთარე არ შეუშინდა. მეტი დაცინვებით გადახედა მანიას და გაჰკრა სიმებს:

ქებით არ მოგემატება
არც სიგანე, არც სიგძეო,
და მით დიდობ, რომ შენა გყავს
ასული და ნასი *) მეო.

მაგრამ მე ხომ კარგად ვცნობ
იმ შენს ძეს და ასულსაო:
ორნივ ემსახურებიან
ეშმაკსა და ავ-სულსაო.

კაცსა კაცად გამოაჩენს
კაცური გზა და სიდიო,
და არა სმა დიაცივით
როსკიპულად ნაყიდიო.

და თუ რომ წინ არ მიგიძღვის
საქმე შეგუიერულიო,
ვერ გიშველის შენი ნასი
ძის ყროყინი ვირულიო.

მანიას თვითეული ეს სიტყვა გულს უკუწავდა. ბოლოს ველარ გაუძლო, გამოისკვნა კუდი და მოჰკურცხლა შინისაკენ. მეთარეს უნდოდა გამოსდგომოდა უკან, მაგრამ დაინახა რომ ნუზარ-ალა და პიკოლიკაც იპარებიან. პიკოლიკმა კიდეც გაასწრო, მაგრამ ნუზარი მსუქანი და ფაშვიანი კაცია, სიარული უჭირს. მიმავალს მეთარე წამოეწია და უწყალოდ ჩასძახა:

ეს ჩვენი ალა-ნუზარი
გვყავს სინიდისთან უზარი
და ამ ჩვენებთან ხომ დიდის
ხნით არის წანაჩხუბარი.

მისთვის ყოველ-დღე მზათ არი
დავთ-დავთ-ჩონგური და თარი,
და გვერდზედ წამოწოლილი
ასე ღამღერის თათარი:

«ვინც მანდა იმას მოვალხენ,
ვინც არა—აკატირებო,
და როცა ვნახავ წაქცეულს
უფრო ფეხს დავკაჭირებო.

დედ-მამის შვილიც შენა ხარ,
ყოჩაღ ნუზარი-ფაშაო!
გაიმკვერულად მოქმედობ,
დაჭკარი: «ვაშა! ვაშაო!»

*) ნასი—არა კეთილი. იხ. საბა სულ. ორბელ. ლექსიკონი და ჩუბინაშვილისა.

როცა ნუბარმა თავის ეზოში შეაღწია, მაშინ გული მოიცა, მეთარეს მუქარება დაუწყო, მაგრამ იმის პასუხად ჩვენსკენვე დაბრუნებულმა მეთარემ ერთიც ასე შესძახა ნუბარს:

შენ გვჯავრს კიკოლიკო,
გაიმჯვრა და სკლიკო,
მაგრამ იმასც მოიმკრება
ოდესმე კუდის რიკით.

საშინლათ ფთხალია ბასილიკა! ოღონდ მუშტს კი ნუ უჩვენებ და რა საშინელი გინებაც უნდა იყოს, გადაჰყლაპავს, ყოველისფერს დაგითმობს. ამ მეთარე-სი მაინც იმას ჯოჯოხეთზე უფრო ეშინია. მი-ნამ მღერალი ნუბარ-ალას გაშორდებოდა, ბასილიკამ წვრილი ბილიკით გაპარვა გაიძახა, მაგრამ შესცდა, ვერ დაემალა მტრის გამჭრიახ თვალებს, წამოეწია მას მეთარე და შიგ ყურებში ჩასძახა:

მომმღერის უარ-მყოფელს
ზედა გრისხავს უფლისა
და წყევის მეგლს სამარცხვინოდ
აგიშენებს ქვეყანასა.

შენი შვილი შენს საფლავზედ
მამოივლის წყევითა
და შეგრისხავს, ბრაზ-მოსული
შენის შავის ქცევითა

გეტყვის: გაჰქრი ბიწიერო,
უნამუსო მშობელოვო,
მუდმივ ზიზღით სახსენებო,
ჩვენო დამამხობელოვო.

ცახელი.

# ჩვენებური ამბები

—

◆◆ სხვათა შორის, ერთი მავნებელი მოვლინება არის ჩვენში; ზოგიერთი ბატონები, რომელთაც არც მომზადება აქვსთ და არც იმდენი გონება შესტანთ, ისეთ რამეებს ჰკიდებენ ხელს, რომ მათი გამბედაობა და თავხედობა სწორეთ გასაკვირველია. ამ გვართაგანი არის უფალი ზაქარია ჭ.-ჭინაძე, რომელიც ისე ნავარდობს სალიტერატურო ასპარეზზედ, თითქო მისი იყოს ბურთი და მოედანი. დრო არის რომ აეკრძალოს ამისთანა პირებს უფლება ისტორიის დამახინჯების და ლიტერატურის გაუგნურებისა. მაგალითად, ავიღოთ გინდ „ბესიკის“ თხზულება, ჭიჭინაძისაგან დაბეჭდილი მისივე წინასიტყვაობით. რა უთქვამს? რა მოუჩმახავს? რა წინასიტყვაობა დაუწერია? ჩვენს ძველ ხალხზედ, მეფეებზედ და დარბაისლებზედ ისეთ რამეებს მოგვითხრობს, თითქოს ისინი ბოშების (ციგნების) გუნდი ყოფილიყონ და მათი ქალები, როგორც საყვარლები, სხვა და-სხვა მოქეიფე ბიჭებს ებურთავებოდნენ.—მაგრამ ეტყობა, რომ ჩვენი ძველ-ქართველების უბრალოდ და უმგვანოდ შეურაცხების შესახებ ბ. ზ. ჭიჭინაძე რაღაც სნეულებას შეუპყრია.

თვითონ გამოცემაც „ბესიკისა“ ცუდ-უცურია; გაფუჭებულის ენით, ზოგიერთი ლექსები სხვებისაც გამოურევია და ბესიკის ჰგონებია.—თვით ბესიკის ლექსებიც გადასხვაფერებულათ დაუბეჭდია, ზოგისათვის ბევრი რამ დაუკლია, მაგალითად „ასპინძის ომი“ სრულად არ არის დაბეჭდილი და საზოგადოთაც ბესიკის მწერლობა ისეთი უსარგებლო რამ არის, რომ იმაზედ დროს დაკარგვა შეცდომაა.—

◆◆ ამ დღეებში ჩვენ მოგვიტანეს ძველი ქართული გაზეთი 1819 წლის ზედ-წარწერით. ქაღალდი მეტად დაძველებულია და არ ატყვია რედაქტორისა და გამომცემლის გვარი. გაზეთში აბნეულ-დაბნეულია სხვა-და-სხვა წვრილმანი ამბები. ზოგს ამბებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გადმოვბეჭდავთ ამ ძველი გაზეთიდამ.

გაზეთი ასე იწყება:

## საქართველოს გაზეთი.

ნოემბრის ზ დღესა ჩ ყ ი თ წელსა თფილისში.

## Но. 36.

გამოცხადებანი.

ქართულის გაზეთის გამომცემნი ვალად თვისად ჰრაცხვენ, რათა წინასწარ აცნობონ უპატივცემულესსა საზოგადოებასა, რომელ გამოცემა ესრეთისა გაზეთისა განგრძდების მომავალსაცა ჩ ყ კ წელსა. მას შინა შთაწერილ იქმნებიან თვით იგივე მუხლნი, რომელნიცა მოხსენებულ იყუნენ გამოცხადებასა შინა დაბეჭდილსა უწინარეს აწისა შემოღებისათვის აქა გაზეთის ბეჭდვისა.

გაზეთი ესე გამოცემულ-იქმნება ათას რვაასოც და ერთის წლის იანვრის პირველს რიცხვამდე, თვითოს კვირაში თვითო დაბეჭდილი ფურცელი.

მოსაწერი ფასი დანიშნულ-არს საკმაოდ ზომიერი სრულიადის გაზეთს აქ თბილისსა შინა გამოცემისათვის საზი რებლი თეთრი ფული და სხვათა ქალაქთა და ადგილთა მცხოვრებნი წარსაგზავნელად მათდამი გაზეთისა ამის მისცემენ ერთისა აბაზსა სრულის დროსათვის. ამისთვის, რომელ წარსრულსა შინა წელსა გაზეთისა ამის ვიწყეთ გამოცემაჲ მარტის თვეში, და აწ იწყება გამოცემა მისი პირველის იანვრის რიცხვითგან; და მაშ წარსრულის წლისაზედ მოემატება ათი ფურცელი და იქმნება არღა ორმოცი, არამედ ორმოც და ათი ფურცელი საკუთართა შემთხვევასა შინა მომატებათათანა.—

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

# განცხადებანი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

## „თეატრი"

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ-და-პირი თავის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, «თეატრი», ჩვენ ლიტერატურასაც თვალს ადევნებს. დრო გამოშვებით «თეატრ»-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრ»-ს აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი «თეატრი»-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ".

გაგრძელდება ხელის მოწერა გაზეთ

**„თბილისის განცხადებაზე".** ბარიატინსკის ქუჩ. ბელოის-ხეულ როტინოვის სახლში.

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**ლექსნი**

თქმულნი ბესარიონ (ბესიკის) გაბაშვილისაგან.
ფასი 30 კაპ.

Продолжается подписка на 1885 годъ

**ГАЗЕТА А. ГАТЦУКА.**

Иллюстрированная, политическая, литературная, ремесленная. Преміи 1885 г. 1) *Крестный календарь на 1886 годъ на веленновой бумагѣ.* 2) *Повѣсти и раманы.* 3) *Иллюстрированныя драмы Шекспира.*

Цѣна на годъ съ доставкою и пересылкою—5 руб.
на $1/2$ года — — — — — — — — —3 руб.

Адресъ: Москва, Никитскій бульваръ, д. Гатцука. (3—3).

гр. ჩარკვიანის
ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება
ქართული მოძრავი ასოები,
შედ. ალ. მირიანაშვილისაგან.
ფასი 1 მან.
ქართული ანბანი კუბიკებზედ
ფასი ერთი მანეთი.

Продолжается подписка на 1835 годъ

**ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ**

| на $1/2$ года съ достав. и пересыл. 3р. | **МІРЪ.** | на годъ съ дост. и перес. 5 р. |
|---|---|---|

БОЛЬШОЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

**Новые подписчики получатъ журналъ съ 1-го №.**

Въ теченіи года выдается: 1) *52 иллюстрированныхъ №№ журнала;* 2) *„Еженедѣльныя литературныя приложенія";* 3) *„Художественныя приложенія";* 4) *„Новѣйшія моды"* и 5) главная премія **„Живописный Альманахъ".**

Желающіе ознакомиться съ журналомъ могутъ получить одинъ № за 2 семикопѣечныя марки.

**Адр. редакцій Спб. Невскій пр. № 76.** (3—3)

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 15 сентября. Тип. на Лорисъ-Мелик. ул. д. зубалова. სტამ. გრ. ჩარკვიანისა.